

"პოლიტიკაში ფინანსების დიდი ნაწიდი გაშავებულია, ყვედამ იცის, მაგრამ ხმას არავინ იღებს"

✘ აუდიტის სახელმწიფო სამსახური კონფერენციაზე პოლიტიკური პარტიებისთვის ფინანსური რესურსების მოპოვებასა და მისი გამჭვირვადედ ხარჯვის საკითხზე მსჯელობს.

გენერალური აუდიტორი ირაკლი მექვაბიშვილი არ გამორიცხავს, რომ დაფინანსების წესში ცვლილებები შევიდეს, რადგან წინასაარჩევნოდ იმატებს დარღვევები. მისი თქმით, ერთ-ერთი ახალი გამონწვევა სოციალური მედიაა, დაფინანსებული ვებ-გვერდებია, რომელთა კონტროლიც ვერ ხდება.

„ჩვენ განვიხილავთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორც არის პოლიტიკური პარტიების დაფინანსების წყაროები. ასევე ძალიან საინტერესო თემა არის კრიპტოვალუტების გამოყენება პოლიტიკაში. სამოქალაქო საზოგადოების როლი, როგორც დამკვირვებლის როლი. ასევე გვექნება საუბრები ეფექტური ფინანსური მონიტორინგის განხორციელებაზე, ბუნებრივია ინსტიტუციები გავუმზიარებთ გამოცდილებას“ – აღნიშნავს ირაკლი მექვაბიშვილი.

პოლიტიკის კრიპროვალუტით დაფინანსების გაკონტროლებასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებას ეხმაურება პარტია „გირჩის“ დამფუძნებელი ზურან ჯაფარიძე.



„ნათელი მაგარითი სახ. მარეგულირებლის მორიგი ზედაპირულობის და ფარისვევლობის მაშინ, როცა იდიოტური რეგულაციების გამო პოლიტიკაში ფინანსების დიდი ნაწილი გაშავებულია, ეს ყვედამ იცის, მაგრამ ხმას არავინ იღებს, რადგან ასე აწყობთ.

ამ რეალობაში სახ. აუდიტის სამსახური სრულიად უსუსურია და ფორმალური პროცედურების შესრულებით არის დაკავებული. მაშინ, როცა 14 მილიარდიანი ბიუჯეტი ისე იფრანგება რომ აუდიტის სამსახურს არავინ არაფერს ეკითხება. არაფერს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ამ სამსახურის უფროსი გამოდის და აანონსებს პოლიტიკის კრიპროვარუტით დაფინანსებასთან ბრძოლას !

P.S. შეიძლება “გირჩსაც” გურისხიმობდეს, ჩვენ გვექონდა საიტზე მაინინგი გაშვებული“- წერს ზურაბ ჯაფარიძე.